

პრესკონფერენციები

ჟურნალისტები და პროკურორები

31 მარტს გამოცემულმა „სამშობლოს“ შენობაში რესპუბლიკის პროკურორის წარმომადგენლებმა გამართა პრეს-კონფერენცია. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო გადაეხინჯათ კანონმდებლობა პრესის შესახებ. პრეს-კონფერენციაზე მობრძანდნენ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილეები ბატონები: ალექსანდრე შუშანიანი, ანზორ ბაღვაშიანი, პროკურორის საერთო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ბატონი აკაკი ზაუტაშვილი, აგრეთვე პროკურორის პრეს-ცენტრის უფროსი ბატონი თემურ კვიციანი.

შეკრებილმა წარმომადგენლებმა იქნა დადგენილი საკითხები ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საშუალებების მოვალეობების შესახებ. კერძოდ: საქართველოს ტელე-რადიომაუწყებლობის საშუალებებთან ოფიციალური ინფორმაციის გადაცემისას დაწესდეს შემდეგი თანამიმდევრობა: საქართველოს პარლამენტის ინფორმაცია, პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაცია, მინისტრთა კაბინეტის ინფორმაცია, უზენაესი სასამართლოს ინფორმაცია და შემდეგ სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ინფორმაციები. ეს ინფორმაციები მიეწოდოს შოლოდ მათი პრეს-ცენტრების მეშვეობით. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციამ უზრუნველყოს პარლამენტის პრეს-ცენტრის მიერ მომზადებული მასალების ერთსა და იმავე დროს ეთერში გასვლა. დადგენილია ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამ დოკუმენტის წაკითხვამ დამსწრე ჟურნალისტების პროტესტი გამოიწვია. ბატონმა ალექსანდრე შუშანიანმა მხარი დაუჭირა დადგენილების გადასინჯვას. აღნიშნა, რომ შევიცარიის, გერმანიის და სხვა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობები გაცილებით არადემოკრატიულია, ვიდრე — ჩვენი ქვეყნის. ამასთან ისაუბრა ჩვენი პრესის დაბალ დონეზე და მაგალითისთვის დაასახელა ვაზეთები „ბორჯღალოს“, „აღდგომა“ და სხვა.

თავისუფალი პრესის პრობლემებთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა ბ.მ. ანზორ ბაღვაშიანი: „რადაც უნდა ვიღონოთ, რომ პრესა და ტელევიზია იყოს თავისუფალი. ჩემი საზღვარგარეთის ქვეყნებში ყოფნისას დაერწმუნდი, რომ მოქმედებს ე.წ. ადმინისტრაციული სამართალი. იქ პრესის საშუალებებით შეურაცხყოფილი კაცმა მილიონობით დოლარი მიიღო. ჩვენთან არ არის ასეთი დონეზე სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები. აქ რიგითი კაცი არაფრად მიიჩნევს ჩივილს შელახული ღირსების დაცვისთვის, რადგან ეკონომიკური საწესიები ძალიან დაბალია... მე არ ვკითხვობ ე.წ. ყვეთელ, ბუღალერულ პრესას, მაგრამ ამას წინააღმდეგობა გაუწიოთ, თავისუფალ საქართველოში“. დაბეჭდილმა ბუბლიკაციამ, რომლის რეზიუმეში ნათქვამია: „დიხ, ეს ხალხი...“ ნათქვამი იქნა და ქვეყნის წინაშე (და ჩამოთვლილია ჭანტუა, ქუჩა, ქუჩა, სვანიძე, ჩლაიძე, ყურაშვილი, მიქელაძე და სხვები), მაგრამ არ უნდა ჩაეხიზნოს როგორც ცოდვიანი ძალები საკუთარ სადარბაზოებთან“. გვერდებში, არ უნდა აღიძვროს სისხლის სამართლის საქმე ამ გაზეთის წინააღმდეგ? ეს ხომ აღმაშფოთლებელია. როგორ შეიძლება მიცვალებულების ასე მოხსენიება... ბ.მ. ანზორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ჟურნალისტი ვალდებულია გადაამოწმოს მიღებული ინფორმაცია. სხვა შემთხვევაში ის პასუხს აგებს კანონის წინაშე. ხოლო ბატონმა აკაკი ზაუტაშვილმა კი გვაცნობა, რომ რამოდენიმე გაზეთის წინააღმდეგ უკვე აღარულია სისხლის სამართლის საქმე. ზოგიერთ საკითხს იხიებს ქალაქის პროკურატურა, ხოლო რამოდენიმე საქმე გადაეცა რესპუბლიკის პროკურატურას.

ნანა გომეზიძე

მიხეილ ნანეიშვილი: გავისხანოთ როგორ შევხვდეთ მსაჯულრება საქართველო

31 მარტს ჟურნალისტთა სახლში პრესკონფერენცია გამართა ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

პარტიის თავმჯდომარე მიხეილ ნანეიშვილი ისაუბრა, საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების, რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში განლაგების შესახებ. ამ დოკუმენტს ორი მხარე აქვს, თქვა მან, იურიდიული და პოლიტიკური. დავიწყეთ პირველი. სახელმწიფოს მეთაურმა თავის ტელეინტერვიუში, რომელიც მიძღვნილი იყო ამ ხელშეკრულებისადმი, განაცხადა, რომ იგი უფლებამოსილია პარლამენტისაგან დამოუკიდებლად (დაუკითხავად) აწარმოოს ქვეყნის პოლიტიკა და რომ პარლამენტს არა აქვს უფლება, ჩაერიოს მასში, ვიდრე არ დადგება საკითხი ამ პოლიტიკის შედეგთა კანონმდებლობით გაფორმებისა. რამდენად შესაბამისია სახელმწიფოს მეთაურის ასეთი წარმოდგენა პარლამენტთან მის ურთიერთობაზე ქვეყნის ძირითად კანონს?

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მეთაური, ამ კანონის ძალით არჩეული პარლამენტის მიერ, რომელსაც თანახმად ამავე კანონისა, უფლება აქვს აღძვას სახელმწიფოს მეთაურისადმი ნდობის საკითხი და უნდობლობისაც. სახელმწიფოს მეთაურის პრეტენზია პრეზიდენტისადმი, რომელიც აქვს პრეზიდენტს საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, არ ეთანხმება ჩვენს ამჟამად მოქმედ ძირითად კანონს.

მაგრამ სახელმწიფოს მეთაური... 31 მარტს ედგება პარლამენტს, მის ზემოხსენებულ კონსტიტუციურ უფლებას, არამედ უმართებულად მიიჩნევს საპარლამენტო ოპოზიციის მიერ ახლახან დადებული ხელშეკრულების როგორც კანონსაწინააღმდეგოს შეფასებას: იგულისხმებს ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ამ ხელშეკრულებასა და საქართველოს როგორც ნეიტრალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ სტატუსს შორის. ამის საპირისპიროდ სახელმწიფოს მეთაური ამტკიცებს, რომ არავითარ ასეთ წინააღმდეგობას აქ არ აქვს ადგილი. უთითებს ამ ხელშეკრულების იურიდიულ შესაბამისობას „ესენგე“-ში გაწვევებისასთან, რითაც აღიარებს ამ ხელშეკრულების რატიფიცირებას. მაშინ როდესაც იგი სახელმწიფოს მეთაურის მცდელობით პარლამენტს მიაღებინებს, როგორც არამქონე კონსტიტუციური მნიშვნელობისა, ჩვენში რომ კანონი კანონობდეს და სასამართლო ხელისუფლება ახორციელებდეს საკონსტიტუციო ზედამხედველობას, „ესენგე“-ს ხელშეკრულება, როგორც კონსტიტუციურის საწინააღმდეგო, მაშინვე იქნებოდა გაუქმებული. ასე, რომ ამასწინ პარლამენტული ხელშეკრულება არაკონსტიტუციურია, ისევე როგორც ის ხელშეკრულება, ადრე რატიფიცირებული, რომლის მოშვებითაც ლამობს სახელმწიფოს მეთაურს „იურიდიულად გააბათილსებას“ ამაზე ითქმის, მკვლარს მკვლარს აპკიდოს.

ხოლო რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, სახელმწიფოს მეთაური „რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობის“ პოლიტიკური კურსის გასამართლებლად ამტკიცებს, თითქოს რუსეთის ეროვნულ ინტერესებში იყოს ძლიერი და ერთიანი საქართველოს არსებობა. მიუხედავად დიდი სურვილისა, დავინახოთ რაიმე სახის რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, ჩვენ ვერაფერს ვხედავთ. პოლიტიკურად დაუძლეული და ტერორული და დაწვევებული საქართველოს არსებობა: უნდა შეადგინდეს რუსეთის მიზანს, რათა ეფექტიანად განახორციელოს თავისი იმპერიული მიზნები. გავისხანოთ რომელ ქვეყნებს ესაზღვრება საქართველო და აქ გასამართავი რუსული ბაზები, რომელთა საპირისპიროდაა დაგეგმილი? ეს დოკუმენტი არის გამოხატულება საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების რეაქციული პოლიტიკისა, დასძინა მ. ნანეიშვილი.

ინო ზამთარაძე

ედგამ საპრეზიდენტო არჩევნების წინააღმდეგობა

31 მარტს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში გამართა პრესკონფერენცია, რომლის მთავარი თემა გახლდათ საქართველოს დღევანდელი საერთო მდგომარეობის შეფასება.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე მოხსენებით გამოვიდა ედგამ-ს მთავარი კომიტეტის წევრი, პარტიის პოლიტიკური მდივანი, პარლამენტარი მამუკა გიორგაძე. მოხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში შეიქმნა ნაღობი-ძე-გიორგაძის ძლიერი დაჭვავება, რომელიც არსებითად რუსეთის ინტერესებს ემსახურება.

რაც შეეხება ედგამ-ს დამოკიდებულებას და კონსულტაციებს სხვა პოლიტიკურ პარტიებთან, ბატონმა მ. გიორგაძემ აღნიშნა, რომ გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიასა და ეროვნულ-დამოუკიდებლობის პარტიასთან კონსულტაციები გრძელდება, ხოლო ტრადიციონალისტებთან შემდეგ ურთიერთობას აზრი ადარ აქვს, ამ უკანასკნელთა ჩვენთვის მიუღებელი პოზიციის გამო.

მოხსენებელმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ ქვეყნებში ადგილი აქვს ავტორიტარული რეჟიმის დამყარების შემთხვევებს (მაგალითად ყაზახეთი). მსგავსი რამ სურს ბატონ ედგამს შევარდნაძეს საქართველოში.

მან უარყოფითი შეფასება მისცა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მცდელობას საქართველოში. ბატონი მ. გიორგაძე წინააღმდეგია კონსტიტუციის უცბად მიღებისა. ჯერ არჩევნები, შემდეგ კონსტიტუცია. მ. გიორგაძემ დაქტობრივად მხარი დაუჭირა „მცირე კონსტიტუციის“ მოდელს და მიზანშეწონილად ჩათვალა ზოგიერთი აუცილებელი, მაგალითად, თუნდაც საარჩევნო კანონის მიღება.

აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ედგამ-ს პოლიტიკურმა მდივანმა აღნიშნა, რომ საეჭვოა აფხაზეთის დაბრუნების ის ფორმა, რომელსაც ხელისუფლება გთავაზობს.

გიორგი ჭანტურიას მკვლელობასთან დაკავშირებით, გამოძიებაში უცხოელი ექსპერტების ჩართვასთან დაკავშირებით ქალბატონმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ აღნიშნა რომ ჯერ-ჯერობით მსგავსი არაფერია და ეს ასეც რომ მოხდეს ისინი საქმის ვითარებას ვერ შეცვლიან.

პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ გაიელვა კიტოვანის საკითხი. მ. გიორგაძის აღნიშვნით ბ.ნ. თენგიზ კიტოვანი სულაც არაა დაკავებული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე.

შეკითხვაზე — ხომ არ ელით საფრთხე ჟურნალისტებს ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ინფორმაციების გაგრძელებით, სათვის, ქალბატონმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ ამგვარი რამ არ გამოირცხა. ამასთან, მისივე აღნიშვნით ჟურნალისტებს ჩვენში სულაც არ გამოეკომპაგებიან ისე, როგორც ეს მაგალითად მოსკოვში ვლადიმერ ლისტევის მკვლელობასთან დაკავშირებით მოხდა. ამის სულ ახალ მაგალითად დასახელებული იქნა ცნობილი ექიმის ნოდარ ბოხუას მკვლელობის ფაქტი.

მკა ზღუდაძე

კირველი გვირგვინი

შეგარდნაძეს არც შეუძლია და არც სურს ოპოზიციურ პარტიებთან ალიანსი. რჩება მხოლოდ ერთი გზა: რუსეთის გულის მოგება, „ზურგის გამაგრება“ და ამით „სამეფოს“ შევიწროება (ცხადია, ვერც ჯაბა იოსელიანი, ვერც ასლან აბაშიძე და ვერც ივარ გიორგაძე სახელმწიფოს მეთაურის ვერანაირი პრორუსული ნაბიჯის წინააღმდეგ ვერ წაიყვანეს). სწორედ ამიტომ გადაწყვიტა შეგარდნაძემ „უკანასკნელი კოზირის“ გამოყენება, მითუმეტეს, რომ გართულდა ვითარება გალის რაიონში: „სამშვიდობო ჯარების“ და გაეროს დამკვირვებლების თვალწინ სენარატისტებმა ამოხსნეს ათეულობით მშვიდობიანი მოსახლე, მდგომარეობა დაიძაბა. საქართველოს №1 ხელისუფალი მტყაღ უსამართლო დიდების წინაშე დგას. — ბაზების დათმობა, ან გადადგომა, ანპოლიტიკის რადიკალური შეცვლა. შეგარდნაძემ პირველი ვარიანტი აირჩია.

ხვალ (პირსაქმობა)

მიზანი ნათელია: რუსეთისადმი ქვეშევრდომული ერთგულების დემონსტრირებით აფხაზეთის პრობლემის მკვდარი წერტილიდან დაძვრება და საბოლოო ჯამში — ხელისუფლების განმტკიცება, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს გზაც ჩიხიდან ჩიხში მიდის სამხედრო ბაზები იყო ერთადერთი რეალური ფასეულობა, რომლის სანაცვლოდაც,

გუშინ, დღეს, ხვალ, ანუ ბრიკალი უდაბნოში

თეორიულად მინც შეიძლება რუსეთისგან რაიმე სარგებლის გამოჩენა. შეგარდნაძემ კი ფაქტიურად უპირობოდ დათმო ბაზები. შეთანხმების ბოლოს მიწერილი „განსაკუთრებული აზრის“ — საუკეთესო შემთხვევაში თავის მოტყუებაა. ესაა ხაგის მოჭიდებული წყალგადებულის ფართობი. დაესვათ მა კიფი კითხვა: ერთიც ვნახოთ და რუსეთის იტრისოდენადაც არ დაგვეხმარა აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში, ნუთუ შეიძლება ვინმე სერიოზულად იფიქროს, რომ ამის გამო შეგარდნაძე შეთანხმებას ხელს არ მოაწერს? თუკი სახელმწიფოს მეთაური გაიფიქრებდა, მაშინ გალის რაიონში მოეწყობა კიდევ უფრო შემზარავი ვეზუპუცია, იმავდროულად გამწვავდება კრიზის-ნოგენული ვითარება. ვიდაცას მოკლავნ. რადაცა აფეთქდება და ა.შ. რა უნდა მოიმოქმედოს ამ შემთხვევაში შეგარდნაძემ? აუცილებელი გახდება პოლიტიკური ვექტორის რადიკალური შემობრუნება. ოპოზიციისთან საერთო ენის გამოხატვა, გიორგაძის, ნაღობიდან და აბაშიძის ჩამოცილება. მინისტრთა კაბინეტის გადაყენება და

კოალიციური მთავრობის შექმნა. ზედმეტად მიმაჩნია იმაზე ლაპარაკი კი, რომ მსგავს რამეს შეგარდნაძე არათუ არ გააკეთებს, არამედ გულშიც კი არ გაივლებს რაც შეეხება გადადგომას, კაცია, რომელმაც მთელი თავისი ნიჭი და ენერჯია იმისთვის დახარჯა, რათა ხელისუფლების სათავეში სტაბილურობის ერთადერთი და შეუცვლელ გარანტიად წარმოჩენილიყო — თავისი ნებით არსად უქმსელები არ არის. საკუთარი დაპირებების დიამეტრალურად საწინააღმდეგო ქმედების ჩადენა კი შეგარდნაძისათვის არანაირი სირთულეს არ წარმოადგენს.

მოკლედ რომ ვთქვათ, პრაქტიკულად არ არსებობს არავითარი შანსი მართებულ შეთანხმებაზე შეგარდნაძემ ხელი არ მოაწეროს ახლა კი ისიც ვიკითხოთ: თუ სახელმწიფოს მეთაური ნებისმიერ შემთხვევაში მოაწერს ხელს შეთანხმებას, რატომ ატკიცებს რუსეთი აუტოკრატიულ და რადიკალურ დაგვეხმარება უზარუნეთს დაბრუნებაში? არ დაგვეხმარება, ცხადია! რუსეთი ამით არაფერს კარგავს! უფრო სავარაუდოა პროგრესი ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში. შეიძლება ჩიბრივი მართლაც დათან-

ბეჭდება ანტიპარტული ისტერია და რუსეთის შეჭრის პრაქტიკულად ნებისმიერი ბირობა წაუყენოს საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ირულებული იქნება აბსოლუტურად უვლადურზე დათანხმდეს ამის შემდეგ რუსული ორიენტაციის მომხრეთა ე.წ. ა-ერთი მთავარი არგუმენტი — „რუსის რასაც უნდა იმას გიზამს“ — უკვე არგუმენტი კი აღარ იქნება, არამედ დიავნოზი...

დღეს (სურვილები და შესაძლებლობები)

კიდევ ერთხელ გაიმეორება ბაზების სახით საქართველოს ხელისუფლება თმობს ქვეყნის სუვერენიტეტს დაცვის უკანასკნელ მასტიონს, რაც გამოიხატება, ღია არ იმდენად საერთო სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობით, რამდენადც ხელისუფლებაში არსებული ძალთა ბაღანსით. ასეთია შეგარდნაძის სამწლიანი „მოღვაწეობის“ ლოგიკური შედეგითუცა ახლა არც არის იმის დრო, ტრიპური რუსი ინტელიგენტივით ვაიცი, თუ ვინ არის დამნაშავე. გაცილებით აქტუალურია ამ „ინტელიგენტური მენტალიტეტიდან“ გამომდინარე მეორე კითხვა: „რა გქნათ?“. პირდაპირ უნდა ითქვას: შანსი იმისა, რომ თავიდან იქნება აცლებული მოვლენათა არასასურველი განვითარება — უაღრესად მცირეა, მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებს

ბაბრძელები მ. 8 გვ.

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება

მისი არსი და პერსპექტივები

ნოდარ ნათაძე

სიბუხე), არამედ შინაგან ურთიერთობებშიც.

3. შესაძვე, საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგება ჩვენ პასუხისმგებელს გეხდის რუსეთის იმგვარ მოქმედებებზე, რომლებიც არ მოგვიტანს სამხედრო ხიფათს დღეს, მაგრამ მოგვიტანს უდიდეს მორალურ და პოლიტიკურ ზარალს მომავალში. დღეს ყველასთვის უშუალოა, რომ რუსეთის კანონმდებლობაში (არსებული კონსტიტუციის შესაბამისად), მაგრამ მორალის ნორმების საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებამ ჩვენთვის (რომლის "გენოციდად" აღიარებაც ალბათ გარდევალა) რუსეთს აუნაზღაურებელი მორალური და პოლიტიკური ზარალი მიყენა კაცობრიობის საზოგადოებრივი აზრის თვალში. ისიც ცნობილია, რომ საზოგადოებრივი აზრი დღეს აუცილებლად პოულობს გასაგებს შესაბამის

პატარა ქვეყანას (ამ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკას და მის ცენტრალურ ხელისუფლებას) გამანადგურებელი დამარცხება მიყენოს ნებისმიერი შეიარაღებული ჯგუფის ხელით, რომელიც კი ამ პატარა ქვეყნის წინააღმდეგ ომს მოინდომებს (გარეშე მტერი, მეამბოხე, პუტჩისტი, სეპარატისტი და სხვა). ეს პერსპექტივა ძალაშია მანამდე, სანამ საქართველოს შეიარაღებულ ძალთა მშენებლობა ადგას ერთმიმართლებიან ორიენტაციას რუსეთზე, რომელსაც ჩვენს რეგიონში საკუთარი, საქართველოს ინტერესებისაგან განსხვავებული (და მთელ რიგ პარამეტრებში მათთან შეუთავსებელი) ინტერესები აქვს.

5. საერთაშორისოდ აღიარებული შეთანხმების ძალით, რომელიც ვერ კიდევ დასავლეთ-აღმოსავლეთის სამხედრო კონფრონტაციის ეპო-

ტერიტორიაზე.
8. ხელშეკრულებაში არაა განსაზღვრული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბაზებისათვის რუსეთის მიერ ფულადი საზღაურის გადახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მიწა-წყალზე მყოფი ბაზებით სარგებლობა რუსეთისთვის უსასყიდლოა, მსოფლიო პრაქტიკისაგან განსხვავებით.

9. ხელშეკრულება პრაქტიკულად უფადაა: 25 წლის მანძილზე მისი გაუქმების მექანიზმი მითითებული არაა, ხოლო შემდეგ ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება ხუთ-ხუთი წლით. თუ რომელიმე მხარემ მისი გაუქმების სურვილი არ გამოთქვა 5 წლით ადრე (რაც, ოკუპაციის პირობებში, ფაქტობრივად შეუძლებელია).

10. საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობით საქართველო, პრაქტიკულად, კარგავს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი შეიარაღებული ძალები ოპტიმალურად განალაგოს თავის ტერიტორიაზე, თავისი სათავდაცვო ამოცანების შესაბამისად.

ხელშეკრულების

დამოგრაფიული და

ეკონომიკური მიზნები

11. გრაფიკი 1993 წლის ზაფხულში მითითებულ აფხაზეთში 2 რუსული დივიზიის ჩაყენების უფლებას. ეს ძალა საქარისა აფხაზეთის ტერიტორიის სრული კონტროლისთვის და უშუალოა, რომ გრაფიკი დღეს იმასვე მოინდომებს. რაკი ეს დივიზიები პროფესიული იქნება (რუსეთში პერსპექტივაშია საზღვარგარეთ ახალწვეულ სამხედრო მოსამსახურეთა გაშვების ალკვეთა სახელმწიფოს მიერ. იქ მხოლოდ პროფესიონალები წაიღვენ), მათ პირად შემადგენლობას სამსახურის დროს ან გადადგომის შემდეგ (45 წლის ასაკში) ეყოლება ოჯახები, რომლებიც იქვე დასახლდებიან თვით ამ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად. გადადგარებს შეცვლიან ახლები და მათი ოჯახები. თუ გაითვალისწინებთ, რომ დივიზიაში უნდა იყოს დაახლოებით 16000 კაცი, ეს იმას ნიშნავს, რომ მოკლე ვადაში მოხდება აფხაზეთის დემოგრაფიული ათვისება რუსების მიერ.

იგივე პერსპექტივა აქვს — ბუნებრივია — საქართველოს სხვა რეგიონებსაც.

12. ენაიდან რუსეთის პროფესიულ არმი-აში ხელფასები მაღალია (დაახლოებით 50000—150000 რუბლი თვეში) და ენაიდან მათი გადახდა ხდება რუბლებით, მოხდება საქართველოს თავისუფალი ბაზრის თითქმის მთლიანი ათვისება რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა და მათ ოჯახთა მიერ, რაც უშიშეს გაკლენას მოახდენს საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის ეკონომიკის დონეზე.

ხელშეკრულების

სხვა მიზნები

13. საქართველოში რუსეთის შეიარაღებული ძალების კანონიერი დეომა ხელსაწყო პირობებს ქმნის მათი მუშაობისათვის მათი ქვეყნის საიდუმლო სამსახურებთან და, ამგვარად, მათი ზეგავლენისათვის საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე საქართველოს ინტერესების საზარადოდ.

14. რუსეთის სამხედრო ბაზების დაკანონება საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივად მოკლებს საქართველოსათვის დასავლეთის ქვეყნების დახმარების შეწყვეტა ან შემცირება. საგარეოა (უფრო ზუსტად — თითქმის უცილობელია), რომ რუსეთის ბაზების დაკანონება შეუთავსებელი აღმოჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე შუა აზიიდან მოყვანილი ნაფთოსადენის გაგვასთან, რომელსაც შეუძლია ასიათასობით დოლარის შემოსავალი მოუტანოს ჩვენს ქვეყანას.

ხელშეკრულების

«კლუსები»

15. ხელშეკრულების მომხრე იმედოვნებენ, რომ ბაზების მიღებით დაკმაყოფილებული რუსეთი ხელს აიღებს ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებაზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რის შედეგადაც ჩვენ ჩვენი დღევანდელი

1. საქართველოში რუსეთის ჯარის ყოფნის

დაკანონება ართმევს საქართველოს, ვერ ერთი, იმ უპირატესობებს, რასაც ნეიტრალური პოლიტიკის გამოცხადება იძლევა. საქართველოს რესპუბლიკის კანონში შავით თეთრზე წერია, რომ საქართველო ატარებს „აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას“, ანუ იღწვის და მუშაობს იმისთვის, რომ არც ერთ ქვეყანასთან და ქვეყნების არც ერთ ჯგუფთან სამხედრო შეკავშირება არ დასჭირდეს და, შესაბამისად, სხვა ქვეყანათა შორის ომში ჩაბმული არ აღმოჩნდეს. მაგრამ თუ საქართველოში რუსეთის ჯარის ყოფნა დაკანონდება, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო მიბმულია რუსეთის სამხედრო ეტლზე ანუ საქართველო მოკლებულია იმის საშუალებას, რომ რუსეთის მიერ წარმოებული ომიდან განსე გადდეს. მაგალითად: თუ საქართველოს აეროდრომიდან აფრენილი რუსული თვითმფრინავი ბომბავს ან ზეგარავს სხვა სახელმწიფოს, ჩვენი ქვეყანა პასუხისმგებელია იმ სხვა სახელმწიფოს წინაშე, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებითურთ; თუ საქართველოს ტერიტორიიდან სხვა ქვეყნისკენ დამიზნებულია სტრატეგიული ან ტაქტიკური რაკეტა, იმ სხვა ქვეყნის ტერიტორიიდან ჩვენ ქვეყანაზე იქნება დამიზნებული ტაქტიკური ან სტრატეგიული რაკეტა და ა.შ. თუ მოხდება ე.წ. გლობალური (ანუ დედამიწის ბურთის მომცველი) შეიარაღებული კონფლიქტი (მოგვიხსენებთ, არაა გამორიცხული თვით მესამე მსოფლიო ომიც კი და, თუ იგი დაიწყო, ფრიად მოსალოდნელია, რომ იგი სწორედ კავკასიაში დაიწყოს), მაშინ საქართველო, რომელიც რუსეთის სამხედრო ბაზები აქვს, ვეღარც მოუმხრობელი ანუ ნეიტრალური იქნება და ვეღარც დასავლურ დემოკრატიული ბლოკის, ანუ დღევანდელი ცივილიზებული სამყაროს ბლოკის წევრი. იგი, ნებით თუ უნებურად, რუსეთის სამხედრო ბლოკის ფორმალური წევრი იქნება და იტყვიან ხოლმე, მძევალი აღმოჩნდება — რუსეთისა, რომელსაც, რბილად რომ ვთქვათ, კიდევ ერთი გლობალური კონფლიქტის მოგების შანსი ძალიან მწირია აქვს. გამარჯვებულს, მოგვხსენებთ, არ ასამართლებენ (ერისანს მაინც). მაგრამ რა ელის დამარცხებულ ბანაკის წევრს, მით უმეტეს, თუ იმ დამარცხებულთა ბანაკს უკვე კარგა ხანია კისერი გადატვირთულია ძანსა და ნაშაულებით როგორც საერთაშორისო ორბიდადული ნორმების, ისე ადამიანური მორალის წინააღმდეგ?!

2. მეორეც, საქართველოში რუსეთის ჯარის ჩაყენებით და მისი დეომა დაკანონებით საქართველო კარგავს პრინციპშივე, ყველა მასშობილური (მეზობელთან) თუ შორეულთან ე.წ. ძალის პოზიციიდან დალაპარაკების შესაძლებლობას, ენაიდან ჩვენს ტერიტორიაზე მდგომარეობა და ჩვენს ძალაზე დიდად აღმატებულ უცხო ძალას ყოველთვის შეეძლება ჩვენი ძალის ნებისმიერი მოქმედების ალკვეთა, აგრეთვე ჩვენი მოწინააღმდეგის ამოწურავი ინფორმირება ჩვენს შესახებ. ეს ეხება თვით იმ ანტიკატორულ (ანტისახელმწიფოებრივ) ჯგუფებსაც კი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში გაჩნდება სეპარატისტული ან სხვა მიმართულების მეამბოხეთა სახით (რუსეთის ჯარების დამოკიდებულება სეპარატისტებისადმი და სხვა მეამბოხეებისადმი ამ ბოლო წლების მანძილზე არაერთხელ ვნახეთ). ამგვარად, რუსეთთან პარაფორმული ხელშეკრულება საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკურ პარალიზებას უზღვეს არა მარტო საგარეო ურთიერთობებში (გვარიტყვას რა ნეიტრალური, ან ჯერჯერობით მოუმხრობელი ქვეყნის ხელთ არსებულ თავისუფლებებსა და სხვა უპირატე-



ამ ფოტოზე გამოსახულია ქართული ჯარისკაცი, რომელიც მსახურობდა და ე.წ. ლენინსკში (ყაზახეთის სსრ) დაიღუპა ჰაუბავსტვი ცემის შედეგად.

სახელმწიფოთა პოლიტიკური კურსისაკენ და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მას რამდენიმე საფეხურის მოგვიანებით. ამგვარად, მოსალოდნელია (და ეგებ გარდევალა), რომ ახლო მომავალში მოხდეს არსებულ სახელმწიფოთა საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპის გადასინჯვა, არსებულ საზღვართა კლასიფიკაცია სამართლიან და უსამართლო საზღვრებად და იმპერიების შემდგომი დაშლა (იმპერიებისა და არა მხოლოდ ერთი, რუსული იმპერიისა, რადგან მსოფლიოში ჯერჯერობით დარჩენილი იმპერიების რიცხვი ერთზე მეტია). ამ ახალი ვითარებისათვის, ჩვენი ქვეყნის მმართველთა ბრმა და ანტიკატორული პოლიტიკის წყალობით, რაც ათეული წლების მანძილზე ტარებულა და ტარდება, აგრეთვე ჩვენი გარე მტრების ოსტატური და გამიზნული პროპაგანდის წყალობით ჩვენი ქვეყანა არც ისე მომზადებულია, როგორც უნდა იყოს. ჩვენთვის უშიშესი პოლიტიკური ზარალი იქნება, თუ საქართველოს ტერიტორია რუსეთის ჯარების მიერ გამოყენებული იქნება სამხედრო მოქმედებისათვის (თუნდაც მხოლოდ ტრანსპორტის გადაყვლების სახით) ჩრდილო კავკასიის ხალხთა წინააღმდეგ. ეს ჩვენ მოგვიტანს „მცირე იმპერიის“ სახელის დამკვიდრებას, რომელიც ერთმა ავისმსურველმა ქალბატონმა გვიწოდა რუსეთში, და იმპერიალიზმის შეგნებული ხელშეწყობის რეპუტაციას.

ხელშეკრულების

სამხედრო მიზნები

4. თუ ერთი (პატარა) ქვეყნის შეიარაღებული ძალის ორგანიზაცია და აღჭურვა მთლიანად არის დამოკიდებული მეორე (დიდი) ქვეყნის დახმარებაზე და კეთილ ნებაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდ ქვეყანას, ვერ ერთი, მუდამ სრული ინფორმაცია მოუპოვება არა მხოლოდ იმაზე, რა საბრძოლო საშუალებები აქვს პატარა ქვეყანას, არამედ იმაზეც, თუ რა არა აქვს მას. მეორეც, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდ ქვეყანას ნებისმიერ დროს შეუძლია შეუწყვიტოს პატარა ქვეყანას მომარაგება საჭურველითა და ტყვია-წამლით და, ამგვარად,

ქაში დაიდო, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული მძიმე შეიარაღება არ შეიძლება აღმატებულდ დადგინდეს ქოტებზე. ეს ქოტები არასაკმარისია იმ სათავდაცვო მიზნებისათვის, რომელიც საქართველოს აქვს და მომავალში ექნება (რადგანაც მათი დადგენისა მხედველობაში მიიღებოდა მხოლოდ ყოფილი სსრკ-სა და მისი მოკავშირეების საერთო სტრატეგიული ჩანაფიქრები და ინტერესები და არა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, ან მისი მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების ინტერესები). მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე, ქოტის თანახმად, არ შეიძლება განლაგებული იყოს 220 ტანკზე მეტი, 100 მშ და ზემოთ კალიბრის 285 ქვემეხზე მეტი და ა.შ. პარაფორმული შეთანხმებით, ამ ქოტების დიდი ნაწილი, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე მძიმე შეიარაღებათა ქონის უფლების დიდი ნაწილი რუსეთის ხელში გადადის. მაგალითად, რუსეთის ეტლზეა ჩვენი ქოტის ხარჯზე 115 ტანკის ყოლის და 100 მშ-ზე უფრო მსხვილი კალიბრის 175 ქვემეხის ყოლის უფლება, ხოლო ჩვენი ტანკებისა და 100 მშ-ზე მსხვილი კალიბრის ქვემეხების ქონის უფლება, შესაბამისად, ჩამოდის 105 ტანკსა და 115 ქვემეხზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამ 105 ტანკსა და 115 ქვემეხში ითვლება ისიც, რაც დღეს ჩვენს მეამბოხე მტრებს ჰყავთ. ამ შეთანხმების არსებობის პირობებში რომ საქართველო ვერ შექმნის თავისი სახელმწიფოებრივი ამოცანების შესაბამისი არმიას, ცხადია.

6. ხელშეკრულებაში არაა აღნიშნული, რა რაოდენობის ჯარის შემოყვანა შეიძლება რუსეთის ბაზებზე საქართველოში. ამგვარად, კანონიერი გზა ეხსნება საქართველოს დაკავებას (ოკუპაციას) განუსაზღვრელი რაოდენობის რუსული ჯარით.

7. ხელშეკრულებაში არაა განსაზღვრული საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთის ბაზების ინსპექტირების წესი და შესაბამისი უფლებამოსილებები. ამგვარად, რუსეთის მხარეს შეუძლია ამ ბაზებზე როგორც აკრძალული ან საქართველოში შემოსატანად ნებადართული იარაღის ქონა, ისე სამხედრო მოსამსახურეთა მომზადება საქართველოს ინტერესებთან შეუთავსებელი მოქმედებისათვის მესამე ქვეყნის

ხსოვნა

კახა ჩადუნელი



კახა ჩადუნელმა პირნათლად მოიხადა თავისი მხედრული ვალი სამშობლოს წინაშე — ვაჟაკატურად იბრძოლა აფხაზეთის ომში. მტრის ტყვეას კი გადაურჩა, სამაგიეროდ მისივე თანამოძმეებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე 1993 წლის 11 ოქტომბერს, ყაჩაღური თავდას დროს.

კობა ლალიაძე



ჩემო ერთადერთო ვაჟაკატო, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილო, ოჯახშიტოვებულო, პირველ აპრილს 33 წელი გისრულდება, უკვე ორი წელია გიცდით, მაგრამ არ სჩანხარ, ნუთუ ვერ დაამთავრე საბრძოლო ოპერაციები?! გიცდიან შენი დები ცრემლით სავსე თვალებით, გიცდის მეუღლე, შენი ვაჟაკატები ბადრიკო და გიორგი, შენზე უზომოდ შეყვარებული ხატია. მამაშენმა ვერ გაუძლო შენს ლოდინს და სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, დავრჩი მარტო, თუმცა არ დავრჩენილვარ მარტო, იმედით და ოცნებით შენთან ვარ შეილო.

შავებით მოხილი დედა მარინა ლალიძე

ზუგდიდელ

მხატვართა გაყოფენა

21 მარტს საქართველოს სახეითი ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრების ჯგუფური გამოფენა, რომელიც ზუგდიდის მხატვართა კავშირის ინიციატივით მოეწყო და 3 აპრილამდე გასტანა. წარმოდგენილი იყო როგორც ფერწერა, ასევე ქანდაკება. აღსანიშნავია გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების თემატური მრავალფეროვნება: მშენიერი პორტრეტები, ნატურმორტი, პეიზაჟი, დეკორაცია. საგამოფენო დარბაზს ამშვენებს და სიხუმში დაღუპული მებრძოლის, მხატვარ გუგუტა მალანის ფერწერული ტილოები. ზუგდიდელთა თავზე წისქვილის ქვასავით დატრიალებული რამდენი ძნელი წელიწადი მიეწყო და მიჰყვა ერთმანეთს, რამდენი სისხლი-

ანი კალო გაილეწა. რამდენი სამამულე რქა ჩამოემსხვრა ამ უძველეს ქართულ მიწას. ამ უნატიფეს, დაბეწვილ ტილოებზე წარმოდგენილია ყოველივე, მეგრული კაცის ტყვილი და სიხარული, ნოსტალგია თუ გაუსაძლისი ყოფა: „ზიზანი“, „ბედნიერი ქორწილი“, „ანაკლია“, „სვანეთი“, „მუსიკოსები“. აღსანიშნავია რელიგიური მოტივები: „ადამი და ევა“, „მეფელი ციხე“. ყველა ფერწერული ტილო მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული. ზუგდიდის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ბატონმა რობერტ აბსანიძემ აღნიშნა: ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ თბილისელებს ზუგდიდის სახე, რომ ის პროვინცია არ არის, ქალაქია, თავისი მაღალი კულტურით და ხელოვნებით.

ნიკო ზამთარაძე

ბრძოლი საპატრიარქოში


რომონტ ცნობილია, რუსეთის თავდაცვის მინისტრის საქართველოში ვიზიტისას იგი მიიღო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II.

ამ ვიზიტის შემდეგ რუსულ პრესაში დაიბეჭდა ერთი მეტად საყურადღებო სათაურის წერილი „განვედ სატანავ“.

რუსული გაზეთი ამ რბილად რომ ვთქვათ, არასასიამოვნო ეპითეტით თავდაცვის მინისტრს ამკობდა, ამ სათაურის ანალოგიით ჩვენი მოკლე ინფორმაციისათვის შეგვეძლო სათაურად დავგვერქმია — „სატანა საპატრიარქოში“...

მაგრამ თავის შეკავება სჯობს, რადგან იმ მცირე საყვედურმაც კი, რომელიც პარლამენტარმა დავით ბერძენიშვილმა ჩვენი ეკლესიის მესაქის მიმართ გამოთქვა გრაჩოვის მიღების გამო, ხელისუფალთა და არა მხოლოდ ხელისუფალთა წრეში მწვავე რეაქცია გამოიწვია.

აქვე გთავაზობთ ამ რეაქციასთან დაკავშირებით ერთ მცირე რეპლიკას.



რეპლიკა რეპლიკაზე

რმსპუშკინის პარლამენტის 24 მარტის პლენარულ სხდომაზე, ბ-ნმა ჯანსუღ ჩარკვიანი წაიკითხა „ნახევარგვერდიანი განცხადება“, რომელშიაც გამოხატა აღშფოთება დებუტატ ბერძენიშვილის მიერ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის შეურაცხყოფის გამო და ბოდიშიც მოიხადა კოლეგა-პარლამენტარის მაგიერად. თავისთავად ეს ამბავი შეიძლება დასაბრალებელი ბატალოების რიგით ებიზოდად მიგვეჩნია, რომ არა ერთი უაღრესად პარადოქსული მომენტი. ბ-ნი ჯანსუღი, ჩემის ღრმარწმენით, აბსოლუტურად გულწრფელი იყო!

რა არის ამაში პარადოქსული, იკითხავს გაკვირებული მკითხველი.

ამ ებიზოდის პარადოქსულობა იმაში მდგომარეობს, რომ თუკი ბ-ნი ჯანსუღი თავის აღშფოთებაში გულწრფელი არ იქნებოდა და უბრალოდ დემაგოგის მიზნით გამოვიდოდა საპროტესტო განცხადებით — ეს მის არაკეთილსინდისიერებასა და იმადროულად კომპეტენტურობაზე მიუთითებდა, ხოლო თუკი გულწრფელი იყო (ღრმად ვარ დაწმუნებული რომ სწორედ ასეა) — ეს მხოლოდ მისი არაკომპეტენტურობის დასტურია!...

საქმე ის განსავით, რომ ბ-ნი ჯანსუღის აღბად სჯერა, თითქოს

მართლმადიდებელი ქრისტიანისგან დაუშვებელია პატრიარქის კრიტიკა. სწორედ კრიტიკა და არა შეურაცხყოფა, რადგან დებუტატ ბერძენიშვილის გამოცხადებაში შეურაცხყოფელი ნამდვილად არაფერი ყოფილა. ბ-ნი ჯანსუღი აღაშფოთა არა გამოსვლის ფორმამ, არა გამომსვლელის ლექსიკამ, არამედ თვით ფაქტმა, რომ ვიღაც ბედავს და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს საქციელს არ უწონებს! მაგრამ ვინ მოგახსენათ, თითქოს ქრისტიან კაცს არა აქვს პატრიარქის გაკრიტიკების უფლება? არც სჯულის კანონებში, არც წმინდა მამათა თხზულებებში, თვით უმარტივეს კატეხიზმობშიაც კი მსგავსი რამ არ წერია! ასეთი არც საეკლესიო გადმოცემა არსებობს. მეტსაც გეტყვით: თუკი პატრიარქი არღვევს სჯულის კანონს, მორწმუნე არა თუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა შეეწინააღმდეგოს მას. ამის მაგალითი ქრისტიანობის ისტორიაში ძალიან ბევრია, თანაც უმწვავესი კრიტიკის მაგალითი!... ეს რაც შეეხება სარწმუნოებრივ საკითხებს. საერო ცხოვრებაში კი ნებისმიერ მოქალაქეს (სულერთია ქრისტიანი იქნება იგი, მუსლიმანი თუ ათეისტი) შეუძლია გამოთქვას თავისი დამოკიდებულება სასულიერო პირის, მათ შორის პატრიარქის მიმართაც, თუკი ეს სა-

სულიერო პირი ჩაერევა პოლიტიკაში. პატრიარქის მიერ გრაჩოვის მიღება კი სწორედ პოლიტიკური უღრადობის ფაქტი იყო, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ უყურებდა ამას თვით კათალიკოს-პატრიარქი. ისიც ბუნებრივია, რომ ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ აღნიშნული ფაქტი არაერთგვაროვნად იქნა აღქმული. არაფერი საშინელი და „ბნელი“ ამგვარ რეაქციაში არ არის. საშინელება და სიბნელის იქნებოდა, ხალხი პატრიარქის (არ ვგულისხმობ კონკრეტულ პიროვნებას, არამედ იერარქს) ნებისმიერ ქმედებას რომ აღფრთოვანებით ხვდებოდეს...

საერთოდ, ქართული საზოგადოების, კერძოდ, ქართული ინტელიგენციის მიმართება რელიგიასთან და რელიგიურ თემატიკასთან, უაღრესად საინტერესო თემაა და ამ მხრივ სათქმელი ბევრია... ამაზე მსჯელობა მეტისმეტად შორს წაგვიყვანდა, აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ბ-ნი ჯანსუღი ჩარკვიანის რეპლიკატიპური ნიმუშია იმ საყოველთაო არაკომპეტენტურობისა და ელემენტარულ ჰემმარიტებათა არცრანისა, რაც ქართული ინტელექტუალური ყოფის უაღრესად სავალალო ატრიბუტია...

დ. ზ.

- რა ბსურთ ჩემბან, ჯალათებო?! სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული - საქართველოს, გვამს კი რაც ბნებავთ - ის უყავით

ეს სიტყვები ურთუნის კათალიკოს ამბროსი ხელაიას, რომელიც 1924 წელს სხვა მამულიშვილთან ერთად ჯალათებმა მეფისის ციხეში სტანჯეს. კათალიკოსი სრულიად საქართველოს პატრიარქის ამბროსი ხელაიას სიტყვას, რომელიც მან 1922 წელს გენერის კონფერენციას გაუგზავნა.
სამწუხაროდ, ეს თემა დღესაც აქტუალურად იქცა...

კულტურულ კაცობრიობას, გენუის კონფერენსიაზე წარმოადგენილს

მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოსა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს

ჯერ კიდევ პრაქრისტიანულს ხანაში, კავკასიის ძირში, შავისა და კასპიის ზღვებს შორის, ქართული მოღვმის ტომებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და აქტუალური ნიჭით მდიდარი სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალამიხილი ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკვდლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაიცა აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში, მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარა დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწყვეტ დესპოტიასა და აუტანელ შევიწროებას. ამიტომ 1917 წელს ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოაკიდა თავისი პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერჯია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ-პოლიტიკურ ერთეულთა შორის, რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მზავრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, უსწორი ბრძოლაში სისხლიდან დაკლილი საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი



მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად ჰგონობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყვი მე. მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილ-სამოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება.

თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გაველურების და გაბრწყინის კარამდე! ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძელებით გაპოხიერებულ მიწა-ტყეს, რომელსაც უცხოეთიდან შემოიხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გადატაცებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მოწვეულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ

და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას; დასასრულს, უბოლოავენ წმინდათა-წმინდას, — სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დიკიკაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება; მისი სამღვდელეობა უეკიდურესად დევნილია; მისი ეკლესია, ეს ძველის ძველთავე ფაქტობრივი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამბლები და ძლიერებისა, დღეს უფლება აყრილია, იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოღებისა. ამგვარ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობადა ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა: მე როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლმენტაციაში. მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განავითარებს. ამიტომ ვითხოვ: 1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან. 2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივმოსილი კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულვებელყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან. კურთხევა უფლისა იყოს თქვენზე და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე.



მეორე გვერდიდან

მთლიანად ქართულ საზოგადოებაში გამეფებული ნიპოლისტური სულისკვეთება. ამ თიხილედ წლის წინ თვით საკითხის დასმაც კი რუსეთის სამხედრო ბაზების დაკანონებაზე წარმოუდგენელი იქნებოდა, იმდენად დასუსტებული იყო ჯერ კიდევ ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა. დღეს, ხმაძიებული პროტესტები — ბაზების დათმობა დამოუკიდებლობას დაგვაკარგინებსო, ისე გაისმის, როგორც ხმა მლაღადებისა უდაბნოსა შინა. ამ ვნებათაღელვას ზედმიწევნით ესადაგება გენერალ შვარცკოვის ცნობილი სამხედრო ოპერაციის სახელი — „ბრიტალი უდაბნოში“, რადგან საზოგადოებრივი აზრი საქართველოში დღეს მართლაც უდაბნოა. აბათითა და უიმედობით გადახრებული უდაბნო. მეტი სიზუსტისათვის სიტყვა „უდაბნო“ თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს „ჭიჭი წყლით“ რამდენადაც გენთან არ არსებობს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც მარტო სიტყვიერად კი არ უპირისპირდებოდეს ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივ კურსს, არამედ რეალური ზეგავლენის მოხდენაც შეეძლოს მიმდინარე პროცესებში. ოპოზიცია — ძლიერ არაერთგვაროვანია. შედარებით მსხვილი პარტიებიდან მხოლოდ რესპუბლიკელები არიან პრინციპული წინააღმდეგი რუსეთის მეშვეობით საქართველოს საშინაო პრობლემების გადაჭრის მცდელობისა. ისინი სამართლიანად თვლიან, რომ რუსეთი სულაც არ არის ამით დაინტერესებული. პროდასავლურ „პლატფორმაზე“ დგანან ეროვნულ-დემოკრატიებიც, მაგრამ თუკი რესპუბლიკელებს ორგანიზაციული სისუსტე უშლით ხელს, რათა ეროვნული ინტერესების „გამწვევ ძალად“ გამოჩნდნენ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ხშირად ზედმეტ აქცენტობას ახდენს წმინდა ტაქტიკურ მოსაზრებებზე და ნაკლებად ითვალისწინებს იმას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ ტაქტიკურ ნაბიჯს სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით.

ამის მკაფიო მაგალითი იყო 24 მარტს, პარლამენტის სხდომაზე იგორ გიორგაძის გადაყენების საკითხის დასმა. ჯერ ერთი, მისი თანამდებობიდან მოხსნა რომც მოხერხდეს, ეს მხოლოდ ხელისუფლებაში შესატყვისად გადანიაცვლებას გამოიწვევს და პოლიტიკურ კლიმატს ვერ შეცვლის, რადგან უშიშროების სამსახურის ახალი შედის დანიშნა მინც მრსკოვის რეკომენდაციით მოხდება. გარდა ამისა ნებისმიერი თანამდებობის პირის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერით, რომელიც, არასოდეს მიიღებს არანაირ გადაწყვეტილებას შვედრდნაძის „ვიზიტის“ გარეშე, თვით სახელმწიფოს მეთაური კი არავითარ შემთხვევაში არ დაართევს ძალთა ბალანსს „სამეფოთან“ მიმართებაში, რომელიმე მათგანის სასარგებლოდ, რადგან შვედრდნაძის მიერ ახსრულტურად ყველა საკითხის მნიშვნელობა აღიჭმება მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების კონტექსტში!

სწორედ ამიტომ იყო შეცდომა იგორ გიორგაძის გადაყენების მოთხოვნა. უაზრობაა ითხოვდეს იმას, რაც იმთავითვე განუხორციელებელია. ამ პირობებში „ინტელიგენტური“ შეკითხვა „რა ვქნათ?“ ცოტა არ იყოს, რიტორიკულად ჟღერს: პარლამენტში ვერაფერს გაიტან, ხოლო „ქუჩის აქციების აგორებას“ რომ არავითარი აზრი არა აქვს, ამას მგონი უკვე ირაკლი წერეთელიც ხედავს. „გრიგალი უდაბნოში“ — ხელისუფლებას ვერც კი შეარხვეს. გამოსავალი პრაქტიკულად არ ჩანს.

თუმცა სულ მცირე შანსი მაინც არის: რაოდენ არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივი უნდა იყოს საპარლამენტო ოპოზიცია, რეალურად მხოლოდ მის წიაღში თუ მოხერხდება დღევანდელი ხელისუფლების ალტერნატივად ჩამოყალიბება. ოღონდ ალტერნატივა თავისთავად ვერ გაჩნდება. ამისათვის საჭიროა სულ ცოტა, ორი უმთავრესი პირობა: ა) ურთიერთშეთანხმებული, კოორდინირებული მოქმედება და ბ) არსებული ვითარების შესატყვისი, ერთიანი ტაქტიკის შემუშავება. იდეალური ვარიანტია რამოდენიმე, მსოფლმხედველობრივად მსგავსი გავლენიანი თუ მცირე პარტიის შერწყმა, ან ორგანიზაციული გაერთიანება ერთ პოლიტიკურ ბლოკში, მეტ-ნაკლებად პოპულარული, ერთი გამოკვეთილი ლიდერით. თუმცა ეს მხოლოდ კეთილი სურვილებია. შედარებით რეალური მერე ვარიანტი: გაერთიანება რაიმე კონკრეტული პრობლემის გადაჭრის მიზნით. ასეთი პრობლემაა იმ პარლამენტართა სადემუტატო უფლებამოსილების საკითხის დაყენება, ვინც შეთავსებით მუშაობს რაიმე სხვა თანამდებობაზე.

რასაკვირველია, შვედრდნაძე ყოველნაირად შეეცდება, რომ „უკანონო დემუტატების“ საკითხი პარლამენტში არ დადგეს. რასაკვირველია, თუ საქმე მაინც აქამდე მივიდა, რჩეული შვილი კვლავ რეკლამენტის სკრუპულოზური დამკველის როლში წარმოსდგება და არაფრის დიდებით არ დიდ შეგებს შესაბამისი დადგენილების მიღებას. მაგრამ მიზნის მისაღწევად სულაც არა უცდობელი „თამაში“ აწყვე“ შვედრდნაძეს უზრუნველყოფს მთელი კატეგორიულობით უნდა დასვათ. თვით უმცირესი წინააღმდეგობის შემთხვევაში კი რადიკალური ზომების მიღებასაც არ უნდა მოერიდოს, საპროტესტო პიკეტებსა თუ შიმშილობების ჩათვლით... ნაკლებად მოსალოდნელია, შვედრდნაძემ პარლამენტში დაითხოვოს და საგანგაშო მდგომარეობა გამოაცხადოს, რადგან ეს მის საზიანოდ დაარღვევს ხელისუფლებაში არსებულ ძალთა ბალანსს. თანაც ოპოზიცია ამით არაფერს წააგებს, რადგან პარლამენტის ამჟამინდელი შემადგენლობაში მას მაინც არაფრის გაკეთება არ შეუძლია. უფრო სავარაუდოა, რომ ოპოზიციონერ დემუტატთა მკვეთრი დაპირისპირება ხელისუფლებასთან კანონის აღსრულების მოთხოვნით — ატაცებული იქნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ და სახელმწიფოს მეთაურიც იძულებული იქნება რაღაც კომპრომისზე მაინც დათანხმდეს... ამის შემდეგ, ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, შეძლებენ თუ არა ოპოზიციამ მყოფი ეროვნული ძალები ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ დაახლოვებს და გააზრებული, კოორდინირებულ მოქმედებას...

და ბოლოს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: შანსები მინიმალურია. მოსალოდნელია, რომ „უკანონო დემუტატების“ საკითხი ასე მნიშვნელოვნად ჩაითვლება და „გრიგალი უდაბნოში“ კვლავ გაგრძელდება. არადა მდგომარეობა მართლაც უკრძლურესად მიძიმდა. ბაზებზე შეთანხმების პარაფირების შემდეგ შექმნილი სიტუაცია საქართველოში, ძალაუფლებურად ცნობილი ეროსი მანგაგაძის ერთი რადიკალიზაციის ფრაგმენტს გვაგონებს, როცა პოპულარულმა კომენტატორმა ასეთი რამ ბრძანა: „ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“. ჩვენი ფეხბურთელები აგებენ, ანგარიშით 0:4, თამაშის დამთავრებამდე რჩება ხუთი წუთი და ვნახათ რას მოგვიტანს დარჩენილი დრო...“

ვნახათ...

დავით უზრაბიშვილი

თვითმფრინავში სხედან ფაცაცია, იოსელიანი და შვედრდნაძე. გადაუფრინეს სამეგრელოს, ფაცაცია ამოიღო დოლარების დასტა და გადაყარა, გაიხარეთ მეგრელებო. სვანეთს გადაუფრინეს, იოსელიანმა გადააგდო დოლარები: გაიხარეთ სვანებო. შვედრდნაძემ გურულები გაახარა. ცოტა ხნის შემდეგ ქუთაისს გადაუფრინეს. პილოტმა ჭიჭიკიამ გაიკეთა პარაშუტი და გადახტა თვითმფრინავიდან: გაიხარე საქართველო...



შვედრდნაძე ეკითხება შვილიშვილს...
— ბაბუ, რომ გაიზრდები რა უნდა გამოხვიდე?
ბავშვი პასუხობს:
— სახელმწიფოს მეთაური.
შვედრდნაძე:
— მერე, ბაბუ შეიძლება სახელმწიფოს ორი მეთაური ჰყავდეს?

ქველი ანეკდოტის ახალი პარიანობები

„ბატარა ოსის ფიქრები — მილიციელი ვიქნები“
მილიციელის ფიქრები — სარფში მებაყე ვიქნები.
სარფელ მებაყის ფიქრები — აბაშიძე ვიქნები.
აბაშიძის ფიქრები — შვედრდნაძე ვიქნები.
შვედრდნაძის ფიქრები — ვიქნები და ვიქნები.


პროსგორდი

პროსგორდი: 1. მერყევი სხეულის გადახრის სიდიდე. 6. მთავარი ქუჩა. 9. ჩვეულება, დაუწერელი კანონი, წესი. 10. პირის ღრუს ნაწილი. 11. ერთი ჯიშის ცხოველთა შეჯგარება. 12. იტალიელი კინომსახიობი ქალი. 13. ძვირფასი თვალე. 15. წესრიგის დაცვის ორგანო. 19. კენკრა. 20. მაგარი სასმელი. 22. გამოჩენილი რუსი მსახიობი. 23. მცოხნელი, წყვილილიკოსანი ვარული. ცხოველი. 25. ენერჯის საზომი ერთეული. 26. თათი. 28. წინა აზრის სახელმწიფო ძველად. 34. ატმოსფეროს ოპტიკური მოვლენა, ჩნდება ღრუბლებზე. 35. ხის ღერო. 36. ანგარიშსწორების განყოფილება საწარმო-დაწესებულებებში. 37. მუსიკალური ხელოვნების დარგი. 38. დიდი ფრანგი მწერალი. 39. სამანქანო ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობა. 40. სხვა ერის სიძულვილი.

ვერტიკალურად: 1. დიდი ქართველი მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. 2. საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა განათლების, ხელოვნების, სულიერი ცხოვრებისა და სხვათა სფეროში. 3. თანამდებობის პირთა ხელმძღვანელი ჯგუფი უწყებაში. 4. რძის ნაწარმი. 5. მეტალი. 7. აღრიანი გაზაფხულის ყვავილი. 8. გამოჩენილი რუსი კინომსახიობი. 16. ქართველი პოეტი. 17. რუსი მწერალი. 18. მაღალი სასულიერო პირი კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებში. 19. ქალის სახელი. 21. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი. 24. ბიჭი რაიმე მოქმედებისათვის. 27. 17-ე ს. გამოჩენილი ინგლისელი პოეტი. 29. ინგლისის ძველი სახელწოდება. 30. ქალაქი ესტონეთში. 31. მეანე. 32. 19-ე ს. რუსი პოეტი. 33. ხაზი, ნახატის ერთ-ერთი ელემენტი.

წინა ნომერში გამოკვეთებული პროსგორდის პასუხები

პროსგორდი: 2. ოკლეზია 5. ნესვი 7. ვალია 10. ეშვი 11. ვალი 13. ირისი 14. იდიში 16. ალიბი 19. სტვირი 22. სტიქია 23. თერმიდორი 24. ორგანო 26. პასატი 28. ყვავი 30. კეთილი 32. ფარდა 35. ნაფი 36. ოშვი 37. აზოტი 38. იფანი 39. ფინიკია.
ვერტიკალურად: 1. ფურორი 3. კომისია 4. იანვარი 5. ნამსი 6. ირემი 7. გმირი 8. ალთაი 9. ქლიაი 12. ფლორტი 15. ფოსფორი 17. ინდიანა 18. კრამტი 20. ერი 21. ნოე 25. აბათია 27. სტარტი 28. ყოფიანი 29. ინდოეთი 30. კვირა 31. იუნგი 32. ფლიდი 33. ადანი 34. ვერსია



მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, როგან ბოცირიძე,
თაბაჯ დინასამიძე, ბელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი),
მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ
ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თაქო პაატაშვილი,
ივლიან ხაინდრაძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თაბისუფლაპის მოედანი,
კუპიანის ქ. 5
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 1000 რუბლი.
შ.პ. კუპონეზი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
რედაქტორის მოადგილე,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99
93-18-41